საქართველოს კანონი

„აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 01.07.2020, სარეგისტრაციო კოდი: 400060000.05.001.019921) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-40 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. საქართველოს მთავრობამ 2022 წლის 31 დეკემბრამდე დაამტკიცოს:

ა) საზღვაო წყლებში აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონა/ზონები;

ბ) აკვაკულტურისთვის გამოყოფილი ზონის მართვის გეგმა.“.

2. 41-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. ამ კანონის IV თავის მოქმედება შეჩერდეს 2022 წლის 31 დეკემბრამდე.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

1 თებერვალი 2022 წ.

N1356-VIIIმს-Xმპ